თავისუფალი საქართველო

№28

30 ივლისი - 5 აგვისტო

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპროტესტო აქცია ამხელს ხელისუფლებას

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის განცხადება

საქართველოში მმართველი საოკუპაციო მარიონეტული რეჟიმის მიერ, რუსეთის ჯარის მეშვეობით, შეგნებულად შეიქმნა კატასტროფული პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა, რომელიც სრულ განადგურებას უქადის ქართულ სახელმწიფოსა და საქართველოს მოსახლეობას.

- მოშლილია სახელმწიფოს არსებობის სამართლებრივი საფუძვლები; რუსეთთან უკანონოდ დადებულ, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების შემლახავ არასამართლებრივ გარიგებათა შედეგად, ქვეყანას წართმეული აქვს დამოუკიდებლობა; დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მისი ისტორიული ტერიტორიები - შიდა ქართლი და აფხაზეთი - გაყიდული იქნა შევარდნაძის მიერ ძალაუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ; 300 ათასზე მეტი ქართველი განდევნილია საკუთარი მიწიდან.

- ქვეყანაში გაბატონებულია პოლიციური რეჟიმი, რომლის მთელი პოლიტიკა მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის მიმართ დამსჯელი ღონისძიებების განხორციელებას. საქართველოს ციხეებში დამწყვდეულია ასეულობით პოლიტპატიმარი, სინდისის პატიმარი და სამხედრო ტყვე, რომელთა მიმართ, ფალსიფიცირებული ბრალდებებით, უკანონოდ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები; საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების დარღვევით მიმდინარეობს ამ საქმეების გამოძიება, სასამართლო განხილვა. რეპრესიები გრძელდება და მოიცავს საზოგადოების სულ უფრო ფართო ფენებს.

- მიზანმიმართული დანაშაულებრივი სოციალურ-ეკონომიკური კურსის შედეგად, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მიყვანილია სიღატაკის ზღვრამდე, მიმდინარეობს ქვეყნის სასიცოცხლო რესურსების, მიწის, უძრავი ქონებისა და დოვლათის შეგნებული გასხვისება-გაყიდვა.

- ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მძვინვარებს კორუფცია. ქვეყანა იქცა მაფიოზურ-ტერორისტული კლანების სათარეშოდ, ნარკობიზნესის სატრანზიტო გზად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოს არსებობის საფუძვლების უზრუნველსაყოფად, ქვეყნისა და მისი მომავლის გადარჩენისთვის, მისი მოსახლეობის ფიზიკური განადგურებისა და სულიერი გადაგვარებისგან დასაცავად აუცილებელია:

1. რუსეთის საოკუპაციო ჯარმა და მისმა მარიონეტმა მთავარსარდალმა საქართველოში - შევარდნაძემ, დაუყოვნებლივ დატოვონ საქართველოს ტერიტორია.

2. რუსეთის ჯარის მეშვეობით მოწყობილი საქართველოს მოსახლეობის გენოციდისთვის, საერთაშორისო სასამართლომ განიხილოს რუსეთის მარიონეტების - ე. შევარდნაძის, ვ. არძინბას, ტ. კულუმბეკოვის პასუხისმგებლობის საკითხი.

3. საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ყველა პოლიტპატიმრის, სინდისის პატიმრისა და სამხედრო ტყვეთა მიმართ უკანონოდ აღძრული საქმეებისა და გამოტანილი განაჩენების გასაუქმებლად.

საქართველოს ჰელსინკის კავშირი

ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი

აქცია გრძელდება

თანამემამულენო!

საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის ეზოში, საქართველოს ჰელსინკის კავშირის ინიციატივით, 25 ივლისიდან დაიწყო მჯდომარე საპროტესტო აქცია. აქვე გრძელდება ხელმოწერები პეტიციებზე რუსეთის საოკუპაციო ჯარის გაყვანის, სიკვდილით დასჯის გაუქმების და პოლიტპატიმართა უფლებების დაცვის მოთხოვნით.

მოგიწოდებთ, მხარი დაუჭიროთ ჩვენს აქციას, მობრძანდეთ და ხელმოწერით დაადასტუროთ თქვენი ნება.

აქციის მსვლელობისას გაიმართება სინფორმაციო შეკრებები.

საქართველოს ჰელსინკის კავშირი

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲝᲣᲞᲐᲠᲘᲐ?

ფინანსური სკანდალი კულტურის სამინისტროში

კულტურის სამინისტროში აღმოჩენილია დიდძალი გაფლანგვა - გაქრა შემოდგომაზე მოსკოვში დაგეგმილ ქართველ ფერმწერთა დიდი გამოფენისთვის განკუთვნილი 2 ათასი დოლარი. აღსანიშნავია, რომ ეს გამოფენა უნდა გამხდარიყო იმპერიის დედაქალაქში ქართველ მხატვართა ნამუშევრების მასშტაბური დემონსტრირება უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. ამ პომპეზურ ღონისძიებაზე რუსეთის ფედერაციამ გამოყო 6 ათასი დოლარი (მაინც როგორ უყვართ რუსებს ქართული კულტურა!), ხოლო საქართველომ მხოლოდ ზემოხსენებული თანხა.

გამოფენის მოსამზადებელ სამუშაოებს კურირებდა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე გ. ბერეგი გუნია. ბუნებრივია, ვადების მოახლოებასთან ერთად, მან მოიკითხა გამოფენისთვის განკუთვნილი თანხა და - ჰოი საოცრებავ, ფული გაქრა. სამაგიეროდ, კულტურის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის თანახმად, ამ რაოდენობის თანხა გაცემულა შენობის სარემონტო სამუშაოებისთვის განკუთვნილ ფანჯრების მინაზე. წარმოიდგინეთ - 2 ათასი დოლარის მინა! ენაკვიმატი "კულტუროსანი" მოხელეები ხუმრობენ კიდეც - ლუვრის პირამიდას ხომ არ ვაშენებთო.

გიორგი გუნიას აღშფოთებამ იძულებული გახადა სამინისტროს მესვეურები დახდგომოდნენ "მინის კვალს" და შიდაძიების შედეგად გაჩნდა სერიოზული ეჭვი, რომ თანხა დაიხარჯა... კულტურის მინისტრის, ვალერი ასათიანისა და მისი ოჯახის პარიზულ ვოიაჟზე. ბუნებრივია, ყველას უმალ გაახსენდა, რომ ვალერი ასათიანმა ეს-ეს არის დაამთავრა მცხეთის ქუჩაზე ფეშენებელური კერძო სახლის მშენებლობა, რომელიც, მართალია, ლუვრის ეზოში წამოჭიმულ შუშის პირამიდას არა ჰგავს, მაგრამ ოდნავ თუ ჩამოუვარდება თავად ლუვრს.

საზოგადოების აღშფოთებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და მინისტრის კიდევ ერთმა მოადგილემ, მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთმა ლიდერმა რევაზ ლომინაძემ ეს საკითხი სამინისტროს მუშაკთა მსჯელობის საგნად აქცია. ასე რომ, კულტურის სამინისტროს დერეფნებში დენთის სუნი დადგა...

საფიქრალია, ამ სკანდალური ფაქტის გამომზეურებით დაინტერესებულნი არიან თავად არანაკლებ ოდიოზური ძალები და, უდავოდ, ეფექტურადაც გამოიყენებენ ვითარებას. ასე რომ არ იყოს, სამინისტროს მესვეურნი ცოტა უფრო ადრე დასვამდნენ კითხვას - რა დროს საუწყებო რემონტის წამოწყებაა გაჩანაგებულ ქვეყანაში, სადაც შიმშილით იხოცებიან ადამიანები, კულტურის მუშაკთა უდიდესი ნაწილი სიღატაკის ზვარზეა, გაპარტახებულია თეატრები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, ხელოვნებისა და სამუსიკო სკოლები.

იგივე ხდება თითქმის ყველა სფეროში: ახლად დანიშნული მინისტრების უმრავლესობამ, პირველ რიგში, უწყებრივი შენობების სარემონტო სამუშაოები წამოიწყო. ასე რომ, ფულის კეთების სოციალისტური მექანიზმი კვლავ მოქმედებაშია. იდეოლოგიური მუხრუჭების განეიტრალებამ და კერძო საკუთრების აღიარებამ მხოლოდ უფრო მეტად გამოაშკარავა ძველი ნომენკლატურის კერძომესაკუთრული ბანდიტიზმი.

რომანოზ საგინაშვილი

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒ

მოთხოვნას სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ შეუერთდნენ:

თბილისიდან - თინათინ დევდარიანი, მედეა მგალობლიშვილი, გიორგი დავითაშვილი, მზია სიხარულიძე, გივი ბაბუნაშვილი, ნონა ჭილაია,თინა მარგველაშვილი, ნელი გელაშვილი, მარინე სვანიძე, დიანა ტარიელაშვილი, ანასტასია აგლაძე, ნონა კალანდაძე, მირანდა მალანია, ციალა ანთელავა, თამარ გულბანი, ლამარა ამაშუკელი, მარიამ ნადირაშვილი, მარიამ ფრიდონიშვილი, თინათინ გელეგეშვილი, მაგული პაპიაშვილი, მზია გობეჯიშვილი, ლეილა ლობჟანიძე, ეთერ ლობჟანიძე, თენგიზ დეისაძე, მზია წიქარიშვილი, ლამარა ცუცქირიძე, ეთერ ნადირაშვილი, აზა ნიკოლაიშვილი, ციცინო კურცხალია, ლია შვანგირაძე, ნათია მაჩიტაძე,

რუსთავიდან - დ. ცინცარაშვილი, ქეთევან დათუაშვილი, ხათუნა ხავთასი, მარინე ხარაიშვილი, ციალა მოძმანაშვილი, მ. დათუკიშვილი, თ. ბუხრაშვილი, ნ. სარდალაშვილი, რ. მეტრეველი, თ. მოდებაძე, შ. მეტრეველი, ნ. ზამბახიძე, შორენა კიკნაძე, ხ. სარდალაშვილი, მარიამ ლოხიშვილი, ელენე ტომარაძე, ასმათ ხაჩიძე, თ. იმერლიშვილი, მირიან ჭაჭკაძე, ც. ბექაური, მანონ თაბაგარი, მარიამ მაჭავარიანი, ვლადიმერ გუგენიშვილი, ავთანდილ მაჭავარიანი, მურთაზ დორეული, დომნა ჯანელიძე, არჩილ ჯანელიძე, დავით ზიბზიბაძე, თამარ ბექაური, მანონ ბოჭორიშვილი, კლარა ქუფრაშვილი, იამზე ერქომაიშვილი, თამუნა შათირიშვილი, თინათინ ხიმშიაშვილი, ირინე გელაშვილი, ლია მიქელაშვილი, თამარ ზოტიკიშვილი, ზურაბ გაფრინდაშვილი, გივი ლომთათიძე, მაყვალა ქუსივაშვილი, გულნარა ვასაძე, იასონ ბედუკაძე, მერი ზარიძე, ფლორა ალიმბარაშვილი, ლიანა ბერიშვილი, თამარ კაიშაური, იზოლდა წარაშვილი, სვეტლანა კოლოტაშვილი, ცისანა საყვარელიძე, ნუნუ ჭელიძე.

(ხელმოწერები გრძელდება)

წერილი რედაქციას

პატივცემულო რედაქციავ!

ძალიან გთხოვთ, გულთან მიიტანოთ ეს ჩვენი ნაცოდვილარი წერილი მერე კი დაგვიბეჭდოთ.

ამბობენ რომაო, ამას წინათაო ტელევიზიით გამოვიდაო ნაული შევარდნაძე და თქვაო, რომაო რვა ლარითო კარგი დიასახლისი იცხოვრებს გვარიანადაო.

ამ წერილით ვთხოვთ გოგელას, რომა გამოიყენოს განმეორებითა და აგვიხსნას როგორ ვიცხოვროთ კვირაში ერთხელ ვჭამოთ 300 გრამი პური და დავყოლოთ ცხელი წყალ? მასხრად აგვიდო პენსიონერი ხალხი? არ ეღირსოს მაგის შვილებს პენსიამდე გასვლა ასე რიგად როგორ დაკარგა შეცოდების გრძნობა, რომ ასე გვლიზიანებს თავისი შეგონებითა. როგორ არა რცხვენი? ეგება თქვენ გაგზავნოთ კორესპონდენტი და ინტერვიუ აიღოს, როგორ იარსებონ 8 ლარით ამ საცოდავმა გამათხოვრებულმა ხალხმაო.

არ გაინტერესებთ, რას იტყვის? ხელიც აღარ მემორჩილება 80 წლის ქალმა მეხიმც დასცემია მაგისთანა ქალთა საბჭოსა თუ რაღაც ორგანიზაციის თავჯდომარეს, რომ მარტოხელა ხალხს ასრეთ იღებს მასხარად.

ყველა მარტოხელა პენსიონერის სახელით,

ქეთო კაჭახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია, რომელიც დასრულდა აქციით

25 ივლისს, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში საქართველოს ჰელსინკის კავშირმა გამართა პრესკონფერენცია. ჟურნალისტებს საკმაოდ რადიკალური მოთხოვნების შემცველი განცხადება გააცნო დევნილი უზენაესი საბჭოს წევრმა, საქართველოში ჰელსინკის ჯგუფის ერთერთმა დამაარსებელმა, კავშირის რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ, თემურ ჯანელიძემ.

ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანა ჭავჭავაძე შეეხო მიმდინარე პოლიტიკურ სასამართლო პროცესებზე პოლიტპატიმართა უფლებების დარღვევის ფაქტებს. პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ 10 ივლისიდან საპატიმროში შიმშილობს უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მოლოდინაშვილი მოთხოვნით, შეახვედრონ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებს; 12 ივლისიდან შიმშილობა გამოაცხადა ვახტანგ ქობალიას სახოგადოებრივმა დამცველმა, თამილა ლომიშვილმა, რომელიც უკანონოდ იქნა ჩამოცილებული პროცესს; სამხედრო ტყვე სოსო ჟღენტი აპირებს მიმართოს პროტესტის უკიდურეს ფორმას - თვიმკვლელობას.

საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის პროგრამა "მაცნეს" კორესპონდენტმა თავის კითხვაში გამოთქვა მოსაზრება, რომ, ლტოლვილთა საკითხთან მიმართებაში, ხელისუფლებისა და რადიკალური ოპოზიციის შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა. აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ავთანდილ დავითაიამ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აფხაზეთიდან ქართველთა გამოდევნა შედეგია არსებული ხელისუფლების მიზანმიმართული კაპიტულანტური პოლიტიკის, რომლის შედეგადაც დაშვებულ იქნა ისტორიულად უპრეცედენტო - 27 ივლისის მოღალატური შეთანხმების ხელმოწერა და ქართული მხარის ცალმხრივი განიარაღება. მან აგრეთვე შეახსენა დამსწრეთ, რომ მოვლენათა ამ ტრაგიკულ განვითარებაში დიდი როლი ითამაშა კარგად ორგანიზებულმა დეზინფორმაციულმა პროპაგანდამ, რომელსაც იმ პერიოდში სამთავრობო ტელევიზია ეწეოდა და გამოთქვა იმედი - იქნებ მომავალში ტელეჟურნალისტთა ახალგაზრდა თაობამ მაინც გამოიჩინოს ობიექტურობაო.

შეკითხვაზე, მიიღებს თუ არა ჰელსინკის კავშირი მონაწილეობას აჭარის პარლამენტის არჩევნებში, ავთანდილ დავითაიამ უპასუხა, რომ აჭარის საკითხი განსაკუთრებით ფრთხილ მიდგომას საჭიროებს, ვინაიდან თბილისში არსებული ხელისუფლება ცდილობს იქ ფეთქებადი ვითარების შექმნას. ამიტომ ჰელსინკის კავშირი ყურადღებით სწავლობს აჭარაში შექმნილ სიტუაციას და საკუთრივ ამ საკითხთან დაკავშირებით, უახლოეს ხანებში გამართავს პრესკონფერენციას.

გაზეთ "რეზონანსის" კორესპონდენტის კითხვამ - აპირებს თუ არა კავშირი პოზიციის შეცვლას საეროდ არჩევნების საკითხის მიმართ, ვინაიდან რადიკალური დაპირისპირების მეთოდი არ ამართლებს, საპასუხო კითხვა გაუჩინა პრესკონფერენციის მონაწილეებს:

- დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობის გათვალისწინებით, თვლით, რომ არჩევნებში მონაწილეობის მეთოდმა გაამართლა?

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოში ეუთო-ს მისიის წარმომადგენელი, ქ-ნი იოჰანა შტიგლერი და აშშ-ს საელჩოს კონსული, ბ-ნი ტიმოთი რიჩარდსონი.

დასასრულს დამსწრეთ აცნობეს, რომ პრესკონფერენციის შემდეგ საქართველოს ჰელსინკის კავშირი მერაბ კოსტავას ეზოში იწყებს საპროტესტო მჯდომარე აქციას განცხადებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნებით. აქვე გაგრძელდება ხელმოწერები პეტიციებზე საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანისა და სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით.

სახლ-მუზეუმიდან გამოსულ ჟურნალისტებს საპროტესტო აქცია უკვე დაწყებული დახვდათ. ტრანსპარანტებზე, ძირითად მოთხოვნებთან ერთად, ქართულ და ინგლისურ ენებზე იკითხებოდა ლოზუნგები: "მკვლელობის დამკვეთი - შევარდნაძე, შემსრულებლები - ბალუაშვილი და უგრეხელიძე", "მოსამართლეები: მირზა დოლიძე, ჯემალ ლეონიძე და ალექსანდრე ალადაშვილი - შევარდნაძის დაჭირავებული მკვლელები", "მოვითხოვთ, დაკმაყოფილდეს მოშიმშილე პოლიტპატიმრის - ნუგზარ მოლოდინაშვილის მოთხოვნა". საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ერთმა იუმორისტულმა, მაგრამ აქტუალურმა წარწერამ - "ვარდიკო ნადიბაიძემ დაუყოვნებლივ მონათლოს როდიონოვი!" საფიქრალია, მოსკოვში ვიზიტის დროს თავდაცვის მინისტრი ამასაც გაითვალისწინებს.

მამუკა ტუსიშვილი

ალექსანდრე ლებედი 9 აპრილის და შევარდნაძის შესახებ

ფრაგმენტები თავიდან "თბილისის არეულობა"

5 აპრილს ძალიან დაიძაბა მდგომარეობა თბილისში. საქართველოს კომპარტიის მაშინდელი პირველი მდივნის, პატიაშვილის თხოვნით, ქვეყანაში სტაბილიზაციის დამყარების მიზნით, თბილისში ჯარების შეყვანა გადაწყდა. რა ჯარები უნდა შეეყვანათ? ცხადია, საჰაერო სადესანტო ნაწილები - ყველაზე მობილური, ყველაზე მაგარი, ყველაზე გამოცდილი. პირველი, ვინც ბრძანება მიიღო, განჯაში დისლოცირებული "ბაგრამსკო-ავღანური" პოლკი იყო, რომელიც იმხანად 104-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიაში შედიოდა.

სწორედ ამ პოლკმა, რომელმაც 1989 წლის 15 თებერვალს უკანასკნელმა დატოვა ავღანეთი, 1989 წლის 6 აპრილს მიიღო ბრძანება, 320 კილომეტრიანი მარშით განჯიდან თბილისში ჩასულიყო, რათა თავისი ბრძოლებში ნაცადი ხიშტებით გაემაგრებინა პატიაშვილის რეჟიმი.

პოლკისთვის უჩვეულო არაფერი იყო. მას კოლოსალური საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა. ერთი დღე-ღამე დასჭირდათ მებრძოლებს იმისთვის, რომ განჯიდან საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში, უფრო სწორად კი, მთავრობის სასახლის მისადგომებთან განლაგებულიყვნენ.

პოლკმა გადაკეტა მთავრობის სახლის და მის წინ მდებარე პატარა მოედნის მისადგომები, სადაც ბობოქრობდა სამხრეთულად ფიცხი, აღგზნებული მიტინგი. მომიტინგეებს გზები მსხვილი, ლამის მუშტისოდენა ხრეშით სავსე მძიმე სატვირთო მანქანებით გადაეკეტათ. ამ იმპროვიზებულ ბარიკადებს ცუდად შეიარაღებული, მაგრამ ძალიან აგრესიული სხვადასხვა ჯგუფის "ბოევიკები" იცავდნენ. პოლკმა, რომელიც ხუთი წლის მანძილზე შეუსვენებლად იბრძოდა, ძალიან კარგად იცოდა სიცოცხლის ფასი, მაგრამ მან სისხლის ფასიც იცოდა, ამიტომაც არ ჩქარობდა. სასტიკ ბრძოლებში გამოწრთობილ ჯარისკაცებს ზედმეტი კომპლექსები არ აწუხებდათ, ნამდვილი პროფესიონალები იყვნენ - სასტიკნი და დაუნდობელნი. მაგრამ ეს ომში, აქ კი მოწინააღმდეგე თითქოს არ ჩანდა... პოლკი იცდიდა, ვერ გაეგო, მისგან რას ითხოვდნენ, რას უპირებდნენ, რისთვის მოიყვანეს?

მიტინგი ბობოქრობდა. მეგაფონები ერთი წამითაც არ დუმდებოდა. დასუსტებული მოშიშმილეები და განსაკუთრებით გადაღლილი მომიტინგეები იქვე, გაზონებზე იყვნენ წამოწოლილნი. ჯარისკაცები იცდიდნენ..."თავისუფლება", "დამოუკიდებლობა", "სუვერენიტეტი", "ოკუპანტები", "ძაღლები", "ბინძური რუსები"... ჯარისკაცები იცდიდნენ. აქაიქ კბილების ღრჭიალიც ისმოდა. რას ედავებოდნენ, ვერ ხვდებოდნენ - ამ ბიჭებმა კეთილსინდისიერად აღასრულეს თავისი ვალი. იქ, ავღანეთში - სისხლში, ოფლში, ყველამდე ტალახში დაუფიქრებლად სწირავდნენ სიცოცხლეს სამშობლოს. ღირსეულად დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში, აქ კი ოკუპანტებს, ძაღლებს, ბინძურებს ეძახიან. ეს ენით აღუწერელი უსამართლობა იყო. ჯარი მაინც იცდიდა, მაგრამ ვიღაცას აწყობდა, რომ გამძლე, მამაც, მშვიდ რუს ჯარისკაცს მოთმინება დაეკარგა... მთავრობის სასახლის მხრიდან ქვების და არმატურის სეტყვა წამოვიდა. პოლკი მოთმინებით იგერიებდა ამ შემოტევას, დაჭრილები გაჰყავდა უსაფრთხო ადგილას. თავდასხმები თანდათან გაძლიერდა. რაღაცა უნდა ეღონათ. ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა - გაეყვანათ მანქანები, რათა შეეწყვიტათ ეს უსიამოვნო ქვათაცვენა. სუნთქვაშეკრულმა ბიჭებმა გაიწიეს მანქანებისკენ. მათ მხოლოდ მანქანების გაყვანა უნდოდათ, ხალხს არაფერს ერჩოდნენ. მაგრამ უკიდურესობამდე აღგზნებულ მომიტინგეთა შორის პანიკა გაჩნდა. მასის უზარმაზარი, გამძვინვარებული სხეული მოედნის მისასვლელებს მიასკდა, რამდენჯერმე მიეხეთქა აქეთ-იქით და გზად ყველაზე სუსტები გადაჯეგა. დაიღუპა 16 ქალი, 16-დან 70 წლამდე. ტკივილი, გააფთრება, ბოღმა, სასოწარკვეთა, შურისძიება, შიში - ყველაფერი ერთმანეთში აირია და რაღაც საშინელ, ფანტამაგორიულ მთლიანობაში გაერთიანდა. მიტინგი დაიშალა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მერე იქნება შვლისთვალება ზვიადი თავისი გესტაპოთი, გადამწვარი და დანგრეული რუსთაველის პროსპექტი, სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი. სასტიკი ომი - ყველა ყველას წინააღმდეგ, ათიათასობით მსხვერპლით - მაგრამ მათი ბედით უკვე აღარავინ დაინტერესდება. თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი სიცოცხლე, შიმშილად, უფულობად, ტოტალურ ნგრევად შემოტრიალდება. მდიდარი, აყვავებული ქვეყანა ათწლეულობით დაიხევს უკან. "დიადი მესაჭე" ედუარდ შევარდნაძე ნახევრად დანგრეული თბილისის ამარა დარჩება, სადაც გაზი, წყალი, ელექროენერგია ოცნების საგნად გადაიქცევა. მაგრამ ეს მერე იქნება.

მანამდე კი, 8 აპრილს ჩემდამი დაქვემდებარებული დივიზია განგაშით იქნა შეკრებილი. მარშით გავედით აეროდროშზე. თვითმფრინავების არმადა ჰაერში აიჭრა და სამი პოლკი გადაისროლა მზიურ თბილისში. მე ერთ-ერთი პირველი თვითმფრინავით ჩავფრინდი საქართველოს დედაქალაქში. სატრანსპორტო თვითმფრინავები ერთიმეორის მიყოლებით ეშვებოდნენ მიწაზე. ერთ-ერთი მათგანი გრაფიკის გარეშე დაჯდა. თვითმფრინავის ფაშვიდან გამოსრიალდა ორი უგრძესი სამთავრობო "ზილ"-ი, გამოვიდა რამდენიმე ადამიანი. წინ სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ედუარდ შევარდნაძე მოდიოდა. მათ ხალხის საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი დახვდა. ხანმოკლე გასაუბრების შემდეგ მკვირცხლად განაწილდნენ მანქანებში და წყვდიადში გაუჩინარდნენ.

ალექსანდრე ლებედის წიგნიდან "ЗА ДЕРЖАВУ ОБИДНО"

პოლიტპატიმრის სიცოცხლის გადასარჩენად

საერთაშორისო ორგანიზაციებს
მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს

საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების

მიმართვა

საქართველოს რესპუბლიკის დევნილი უზენაესი საბჭოს წევრი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მრჩეველი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის პოლიტიკური საბჭოს წევრი, პოლიტპატიმარი ნუგზარ მოლოდინაშვილი 10 ივლისიდან შიმშილობს თბილისის N 1 საგამომძიებლო იზოლატორში. იგი მოითხოვს შეხვედრას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებთან.

ვინაიდან ამჟამად მიმდინარე სასამართლო პროცესზე, საიდანაც იგი გაძევებულ იქნა, უხეშად ირღვევა მისი დაცვის უფლება, იგი კატეგორიულად აცხადებს, რომ არ შეწყვეტს შიმშილობას მისი კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე. ამჟამად ნუგზარ მოლოდინაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულს უახლოვდება. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლება სრულ გულგრილობას იჩენს პოლიტპატიმრის ბედისადმი. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ამ საკითხის გადაწყვეტა, უსაფუძვლოდ აცხადებენ უარს ნუგზარ მოლოდინაშვილის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ნუგზარ მოლოდინაშვილის სიცოცხლეს ემუქრება რეალური საფრთხე.

მოგიწოდებთ, ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, მიიღოთ ყველა ზომა, მოახდინოთ ზემოქმედება საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა დაკმაყოფილდეს მოშიმშილე პოლიტპატიმრის - ნუგზარ მოლოდინაშვილის კანონიერი მოთხოვნა და თავიდან ავიცილოთ ტრაგიკული შედეგი.

29 ივლისი, 1996 წელი

საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ავთანდილ დავითაია, ლია ბერუაშვილი

ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი - ჯემალ იონათამიშვილი, გურამ ისაკაძე

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება - ვახტანგ ბოჭორიშვილი

საქართველოს ნაციონალ-კონსერვატიული პარტია - ბეჟან ჯავახია

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საზოგადოება - ნოდარ ულრელიძე, დალი კუკულაძე

საქართველოს კონსერვატიული ლიგა - იოსებ ბარათაშვილი, გიგა ზაალიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საზოგადოება - გიორგი მრევლიშვილი

ნეოკონსერვატიული პარტია - ირაკლი კენჭოშვილი

საქართველოს სოციოლოგიური საზოგადოება - ნოდარ კერესელიძე, ბიმურზა აფრასიძე

საქართველოს მთიელთა კავშირი - დავით ქადაგიძე

პოლიტიკური პარტია "საქართველოს ბედი" - თეიმურაზ მდინარაძე

მოთხოვნა აღიკვეთოს უკანონო პატიმრობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს - ბ-ნ მინდია უგრეხელიძეს

ასლი:
ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს
საინფორმაციო საშუალებებს

თბილისის №1 იზოლატორში მყოფი პოლიტპატიმრების

პროტესტი

ა. წ. 30 ივნისს გავიდა ბალუაშვილის მიერ სანქცირებული საგამოძიებო ვადა, ვადის გასვლამდე კი ჩვენი საქმე №109211 გადაეცა უზენაეს სასამართლოს. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 224-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე სამართალში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად დაწესებული თოთხმეტდღიანი ვადა რა ხანია გავიდა, განმწესრიგებელი სხდომის განჩინების პირი არ მიგვიღია და არც ჩვენი დაკავების სანქცია გაგრძელებულა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მოსამართლე ისაევმა, რომელსაც დაეწერა ჩვენი საქმე, სასამართლო წარმოებაში მიღებაზე საქმეს აცილება მისცა, ხოლო მოსამართლე ბოჭორიშვილს, რომელსაც ამჟამად დაეწერა საქმე, განუცხადებია, რომ მხოლოდ ამ თვის ბოლოს დაიწყებს საქმის გაცნობას, რაც სასამართლოს დაწყების განხრახ გასაჭიანურებლად კეთდება.

ჩვენ უკვე 18 დღეა უსანქციო უკანონო პატიმრობაში ვიმყოფებით. ჩვენს მიმართ საპროცესო ნორმების უხეში დარღვევები და პოლიტიკური მოსაზრებებით ანგარიშსწორება კვლავაც გრძელდება და ახლა უკვე ესტაფეტა პროკურატურიდან უზენაეს სასამართლოს გადაეცა.

გამოვთქვამთ პროტესტს სასამართლო პროცესის განხრახ გაჭიანურებისა და ჩვენი უსანქციოდ პატიმრობაში ყოფნის გამო და მოვითხოვთ - დააჩქაროონ სასამართლო პროცესის დაწყება ან გაგვათავისუფლონ უკანონო პატიმრობისგან, რადგანაც ჩვენზე გაცემული დაკავების სანქციის ვადა 30 ივნისს ამოიწურა.

კობა ძიძიგური, ვაჟა წერეთელი
გიორგი ყორბესაშვილი, ზაზა დანელია

1996 წლის 18 ივლისი

ჩვენებას იძლევა უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მოლოდინაშვილი

24 ივნისის სპექტაკლი

სოხუმში ჩემი აყვანის შემდეგ ვიმყოფებოდი პოლიციის სამმართველოს წინასწარი გამოძიების იზოლატორში; თავიდან, 40 დღის განმავლობაში - სრულიად მარტო, ხოლო 24 ივნისის ცნობილი შოუს შემდეგ - სხვა პატიმრებთან ერთად. მათ შორის ბევრი იყო უზენაესი საბჭოს წევრი, რომლებიც, სრულიად უსაფუძვლო ბრალდებებით, სახლებიდან იყვნენ აყვანილნი. შეიძლება ბევი მწყალობდა, რომ ცოტა უფრო ადრე ამიყვანეს, თორემ, ალბათ, ჩემთვისაც შეიძლებოდა დაებრალებინათ 24 ივნისი, ჯაბა იოსელიანის აფეთქება და ა.შ.

24-ში დაგეგმილი იყო დაგომისის შეხვედრა, სადაც, ფაქტობრივად, უნდა მომხდარიყო კაპიტულანტური გარიგება სამაჩაბლოს თაობაზე. ეს გარიგება მოხდა კიდევ. და ამ დღეს თბილისში გათამაშდა პოლიტიკური სპექტაკლი, რომელშიც ხელისუფლების მიერ გაბრიყვებულმა ჩემმა მეგობრებმაც მიიღეს მონაწილეობა.

მიუხედავად იმისა, რომ 4 აგვისტოს მანიფესტმა გამათავისუფლა პატიმრობიდან, ჩემთვის იგი მნიშვნელოვანი არ ყოფილა, რადგან გამოძიება ჩიხში მოექცა, არავითარი სარწმუნო მასალები წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით არ ჰქონდა, თუ, ცხადია, არ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ რასაც უნდოდათ, იმას დამტკიცებდნენ, როგორც ძალიან ხშირად ხდება.

ჩემი სამთვიანი პატიმრობის პერიოდში მოხერხდა ერთადერთი დაპირისპირება - შემდგომში პარლამენტის წევრთან, მიხეილ მჭედლიძესთან. ბრალდება ძირითადად აგებული იყო ე.წ. ბუნკერში წამებისა და ტანჯვის ფაქტებზე, რომელსაც თითქოს მეც ვესწრებოდი. მჭედლიძესთან ჩემმა დაპირისპირებამ ძიებას არაფერი მისცა. უაღრესად კეთილგანწყობილი იყო ჩემს მიმართ და ასევე დავცილდით ერთმანეთს.

გამოვიდა მანიფესტი...

4 აგვისტოს მანიფესტით, ეს საქმე შეწყდა. მიუხედავად ამისა, პროკურატურამ, რასაკვირველია, თავის დასკვნაში დაწერა, რომ ჩემს მიმართ წაყენებული ბრალდება მთლიანად დამტკიცებულია, მაგრამ მანიფესტის გამოსვლის გამო იძულებულნი იყვნენ, შეეწყვიტათ საქმე. ამგვარი პასაჟები, სხვათა შორის, ამ საქმეშიც ფიგურირებს. ფიგურირებს მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური აქცენტირების მიზნით: ბრალდებას სურს, რომ ჩემს მიმართ შეიქმნას ნეგატიური შთაბეჭდილება.

მინდა გაგაცნოთ ბატონი ზვიადის აზრი ამ მანიფესტთან დაკავშირებით. ეს მიმართვა გაკეთებულია 1992 წლის 5 აგვისტოს, ანუ მანიფესტის გამოსვლის მეორე დღეს:

"რუსეთის იმპერიის ემისარმა და ნეოკომუნისტური ხუნტის ხელმძღვანელმა შევარდნაძემ გამოაცხადა პოლიტიკური ამნისტია. გამოაქვეყნა ე.წ. დიდი შერიგების მანიფესტი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის მორიგი პროპაგანდისტული მანევრი ხუნტის შელახული პოლიტიკური რეპუტაციის გადასარჩენად მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში." ამასთან, პრეზიდენტი აღნიშნავდა: "მე არაერთხელ გამოვაცხადე შერიგება, გამოცემულ იქნა ბრძანებები, რომლებშიც აღნიშნული იყო - ის პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ შეიარაღებულ ბრძოლაში კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, თავისუფლდებოდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან. მიუხედავად ამისა, პუტჩისტებმა არ შეისმინეს ჩემი მოწოდება."

იმედის უკანონო არჩევნები

ეს ის პერიოდია, როდესაც დაიწყო 11 ოქტომბრის იმედის არჩევნებისთვის მზადება და მასობრივი პროპაგანდისტული ღონისძიებები. ასევე სახელმწიფო საბჭოს მიერ შემუშავებულ იქნა საარჩევნო კანონი. ამ კანონზე უამრავი რამ არის დაწერილი, ამიტომ მე მხოლოდ ბატონი ზვიადის სიტყვებს მოვიყვან:

"შევარდნაძის დანაშაულებრივი ხუნტა და ამჟამად სახელმწიფო საბჭო, რომელმაც სისხლიანი გადატრიალების შედეგად მოახდინა სახელმწიფო ხელისუფლების უზურპირება, შემდეგ გათელა ქართველი ხალხის ნება და მის მიერ ბოლო წლებში თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში მიღწეული ყველა მონაპოვარი, რომელიც პრაქტიკულად აწარმოებს საქართველოს მოსახლეობის გენოციდს და ინარჩუნებს ძალაუფლებას იმპერიის საოკუპაციო ჯარის მეშვეობით, ცდილობს საქართველოში დანაშაულებრივი რეჟიმის დაკანონებას ანტიკონსტიტუციური არჩევნების ჩატარების გზით. ამასთან დაკავშირებით ვაცხადებ:

1. ხუნტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არჩევნების ჩატარების შესახებ, არა აქვს არავითარი იურიდიული ძალა. არჩევნების დანიშვნა შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, რომელსაც არ მოუხსნია უფლებამოსილება და აგრძელებს ფუნქციონირებას.

2. ხუნტის მიერ მიღებული ე.წ. საარჩევნო დებულება უპრეცედენტოა თავისი ანტიდემოკრატიულობით. დამტკიცებულ ცვლილებებმა, რომლებიც ხუნტის მიერ ფართოდ რეკლამირებული დებულების დამცავი მექანიზმის საწინააღმდეგოდ იქნა მიღებული, მხოლოდ გააძლიერეს მისი ანტიდემოკრატიული ხასიათი. დებულება მიზნად ისახავს, არ დაუშვას ხუნტის მიმართ არალოიალური, ჭეშმარიტად ეროვნული ძალების მონაწილეობა არჩევნებში, მთლიანად გამოთიშოს ისინი პოლიტიკური ცხოვრებიდან.

თვით კომუნისტური არჩევნების დროსაც კი აუცილებელი იყო საარჩევნო კვოტა - ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი, რაც შესაძლებლობას იძლეოდა, სათანადო კონტროლის შემთხვევაში, არჩევნების ბოიკოტისა და ჩაშლისა. ამის მაგალითია კომუნისტური არჩევნების ჩაშლა 1990 წლის მარტში. ამჟამად ამგვარი შესაძლებლობა გამორიცხულია.

იმ დროს, როდესაც ქვეყანაში გამეფებულია სისხლიანი ტერორი, დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობს სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი, არსებითად, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი; როდესაც ეჭვგარეშეა, რომ მთელ რიგ ქალაქებში მომავალი არჩევნები მხოლოდ ხიშტების კონტროლს დაექვემდებარება; როდესაც საიკერის არჩევნებში მხოლოდ ერთი პიროვნება იყრის კენჭს, ცხადზე ცხადია, რომ ეს შეუზღუდავი და უკონტროლო ძალაუფლება თავს მოიყრის იმპერიის ცენტრიდან მოკლენილი ქართველი ხალხის მოღალატის, შევარდნაძის ხელში, რაც საქართველოს საბოლოოდ დააკარგვინებს დამოუკიდებლობას."

წინა სხდომებზე აქ იყო დაინტერესება 11 ოქტომბრის არჩევნების თემით. შემდგომში ბ-ნ ანზორ ბალუაშვილის საგაზეთო ინტერვიუში ფიგურირებდა ის აზრი, რომ 1992 წლის 11 ოქტომბრამდე, განდევნილი ხელისუფლება იყო კანონიერი, ხოლო 11 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ამ ხელისუფლებამ, რასაკვირველია, შეწყვიტა არსებობაო. ხაზს ვუსვამ, რომ მე მოვიყვანე კანონიერი ხელისუფლებისა და მისი პრეზიდენტის აზრი ამ არჩევნების შესახებ მის გამართვამდე.

დღევანდელ საქართველოში, ლუდოვიკო XIV-ის საქვეყნოდ ცნობილ გამოთქმას - "სახელმწიფო ეს მე ვარ" - ცოტა სასაცილო, მაგრამ სახედრივით ჯიუტი ეპიგონი გამოუჩნდა. ჯერ იყო და, ათეულობით ადამიანი მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში 65-ე მუხლით, ანუ სამშობლოს ღალატისთვის, მხოლოდ და მხოლოდ ედუ-

ისევ მგრეთ წოდებულ სასამართლოს და ქართველ საზოგადოებას

არდ დაღმამშენებლის მიუღებლობისთვის. მაგრამ, თურმე, ჯერ სად ვიყავით, წინ უფრო დიდი კურიოზები გველოდა.

ამჯერად სცენაზე ეგრეთ წოდებული პროკურატურის მაღალი ჩინი, გენერალური პროკურორის მოადგილე რევაზ ყიფიანი გამოვიდა: თურმე, პოლიტპატიმრებთან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრა დაუშვებელია, პოლიტპატიმრებს სახელმწიფოსთვის მაკომპრომეტირებელი ცნობების გავრცელება შეუძლიათ. თქვენ კი შეიძლება არ გეჯერათ, რომ ლუდოვიკო XIV-ს ეპიგონები გამოუჩნდნენ.

ბატონო რევაზ, სახელმწიფოსთვის საზიანო ცნობები გვაქვს თუ დიქტატორისა და მის ლაქიათა დასისთვის საზიანო? როდის აქეთ იქეცით ერთი მუჭა მონების დასი, თქვენი ტიკიმასხარა მეთაურით, სახელმწიფოდ?

დიახ, მაქვს არაერთი ისეთი ფაქტობრივი მასალა და ცნობა, რომელიც ამხელს დიქტატორს და მთლიანად მის ამქარს არაკეთილსინდისიერებაში, სამშობლოს ღალატში, ცრუპენტელობაში, არაპროფესიონალიზმში, კორუფციაში, ქვეყნის დაქცევაში, ქართველთა სულიერ და ფიზიკურ გენოციდში, უცხო ქვეყნის ინტერესების მონურ განხორციელებაში. ამ ფაქტების გამომზეურება ერთი მისხლითაც არ ლახავს ჩემი სამშობლოს ინტერესებს, პირიქით, რაც უფრო მალე იქნებით მხილებული, მით უფრო მალე ეშველება ჩემს ქვეყანას, მით უფრო მალე დაიკავებს, თქვენს ხელში დღევანდელი "ბანანის რესპუბლიკა", ღირსეულ ადგილს მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყანათა დასში. უფლის ნებით, ასეც მოხდება, ოღონდ თქვენს გარეშე.

ნუგზარ მოლოდინაშვილი

23 მკათათვე, 1996 წელი

ალადაშვილის ულტიმატუმი

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიის ცნობით, 22 ივლისს ნუგზარ მოლოდინაშვილი გაიყვანეს საკნიდან ციხის შიდა საავადმყოფოში მოსათავსებლად. ციხის ადმინისტრაციამ მას გადასცა მოსამართლე ა. ალადაშვილის ულტიმატუმი - მოშიმშილე პოლიტპატიმარს საავადმყოფოში გადაიყვანდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეწყვეტდა შიმშილობას. მოლოდინაშვილმა განაცხადა, რომ საავადმყოფოში გადაყვანის მოთხოვნით არ დაუწყია შიმშილობა და დაბრუნდა თავის საკანში. 24 ივლისს იგი გადაიყვანეს სანიტარულ ნაწილში. ნუგზარ მოლოდინაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შემაშფოთებელია.

საკომპენსაციო სიები - კომპენსაცია რისთვის?

საინტერესოა, რას ნიშნავს საკომპენსაციო სიები, რომლითაც მოხდა არჩეულ პარლამენტში დამატებითი წევრების შეყვანა? რის და რისთვის კომპენსაციას ნიშნავს? იმ დამსახურებისთვის ხომ არა, რომელიც მათ მიუძღვით 1991-92 წლების მიჯნაზე კონსტიტუციური წყობისა და კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობისთვის? ყოველ შემთხვევაში, საკომპენსაციო სიების არგუმენტირებული განმარტება მე არ მომისმენია.

აი, მთელი რიგი მიზეზებისა, რომლებიც მე, ჩემს კოლეგებსა და მეგობრებს გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები იყო სრულიად უკანონო, ჩატარდა უხეში ძალდატანებითა და ზემოქმედებით და მის მიერ შექმნილ ორგანოს არავითარი იურიდიული უფლებები არა აქვს. ყოველივე ეს დაადასტურა 1992 წლის ოქტომბერში გროზნოში ჩატარებულმა დევნილი უზენაესი საბჭოს სესიამ, თავის სრულიად კანონიერი ჯადგენილებით. აი, ის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელსაც მე არ მაქვს უფლება, არ ვემორჩილებოდე, მით უმეტეს, რომ მთლიანად ვიზიარებ მას.

შევარდნაძე მზადაა აგოს პასუხი, მაგრამ არ უჯერებენ

ამ პერიოდისთვის უკვე დაწყებული იყო და ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა ომი აფხაზეთში, რომელიც, წინასწარგანზრახულად, წამოიწყო უკანონო ხელისუფლებამ, რათა გამოესწორებინა თავისი უაღრესად კრიზისული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. სხვა საქმეა, რომ უარესი შედეგები მიიღო.

მაგრამ ამ ქვეყანაში ამგვარი ქმედებებისთვის პასუხის მომთხოვნი არავინაა: არ გაგა დღე, არც ერთი შეკრება ისე არ ჩატარდება, რომ ედუარდ შევარდნაძემ არ აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და არ მოითხოვოს, რომ პასუხი აგებინონ მას. საუბედუროდ, მისი ეს კანონიერი მოთხოვნა დღემდე რჩება "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". ძალიან მაინტერესებს, რატომ არ უჯერებენ მას?

მგლეზი, კრავეზი და... სიკაძლემეზი

ექვს თვეზე მეტია უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს მორიგი პოლიტიკური სასამართლო პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ სცენარი დიდი ხანია დაწერილია, დროთა განმავლობაში მასში ბევრი რამ შეიცვალა. სცენა დატოვა ნუგზარ მოლოდინაშვილმა, სამხედრო ფორმა დათმო ჯამბულ ბოკუჩავამ, კიდევ უფრო დახვეწილი და ქრისტიანულად შემნდობი გახდა ზვიად ძიძიგური, ვახტანგ ქობალია ვირტუოზულად დაეუფლა მოწმეთა დაკითხვის ურთულეს ტექნიკას. სამაგიეროდ საგრძნობლად იკლო ქალბატონ-პროკურორის, თ. ლალიაშვილის აქტივობამ, იგი ძველი ენთუზიაზმით აღარ უსვამს კითხვებს მოწმეებს, ჩანს, პრაქტიკამ დაარწმუნა, რომ უმეტესწილად პასუხები ბრალდებისთვის არასასურველ ინფორმაციას შეიცავს. უცვლელია მხოლოდ მოსამართლე ალადაშვილის ამპლუა. ამ ხნის მანძილზე ერთი შტრიხიც კი არ შეცვლილა მასში: საუბრის სპეციფიკური ("ვერულ-ქალაქური") მანერა, მუდმივი გაუგებარი ღიმილი, რომელსაც დროდადრო სკოლის მასწავლებლის მკაცრი მუქარა და ფანქრის კაკუნი ცვლის, რაც ძირითადად მაშინ ხდება, როცა მოწმეები გაჯიუტდებიან და ბრალდებისთვის არასასურველ ჩვენებებს იძლევიან. ვინაიდან პროცესზე სწორედ ასეთი მოწმეები ჭარბობენ, ამ ბოლო დროს მოსამართლე აღარც გამოდის მკაცრი მასწავლებლის ამპლუადან. გამონაკლისი არც გასული კვირა ყოფილა.

ორშაბათს დაკითხულმა ერთ-ერთმა მოწმემ, ვახტანგ ჩიტაიამ აღიარა, რომ წინასწარ გამოძიებაში ხყოფს მათ ღირსებას, უპატივცემულოდ ეპყრობა ადვოკატებს და საზოგადოებრივ დამცველებს, სისტემატურად ახდენს დარბაზის პროვოცირებას, უსაფუძვლოდ აძევებს დამსწრეთ - ფაქტობრივად, ატარებს დახურულ სასამართლო პროცესს.

ერთი სიტყვით, მოსამართლე ალადაშვილის საქციელი არა მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო, არამედ არაეთიკურიც არის. განცხადებას ხელს აწერს 53 ადამიანი. უნდა ვიფიქროთ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ალაშვილთან მოსამართლის საქციელი და იგი დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს ალადაშვილის გაუგონარი "თვითნებობის" აღსაკვეთად.

სკანდალური ამბების სერია გრძელდება

მიცემული ჩვენება მან გამომძიებლის კარნახით დაწერა. ამ ფაქტის მისაფუჩეჩებლად, მოსამართლემ პროვოცირება გაუკეთა კონფლიქტს, რის შედეგადაც დარბაზიდან პოლიციის ძალით გააძევა განსასჯელ ქობალიას და. დამსწრეთა პროტესტით განრისხებულმა, იმავე პოლიციის დახმარებით, მთელი დარბაზი დაითხოვა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მეორე დღეს განსასჯელები სასამართლო დარბაზში ხელებზე ბორკილდადებული ამოიყვანეს. შეურაცხყოფილმა განსასჯელებმა საპროტესტო დუმილი გამოაცხადეს და სხდომის მიმდინარეობაში მონაწილეობა აღარ მიუღიათ.

დამსწრე საზოგადოების სახელით, უზენაესი სამართლოს თავმჯდომარის, მინდია უგრეხელიძის მისამართით გაკეთდა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ალადაშვილი უხეშად არღვევს განსასჯელთა და დამსწრეთა უფლებებს, შეურაცხყოფენ ადვოკატებს, უპატივცემულოდ ეპყრობა ადვოკატებს, ადამიანურ ღირსებას, ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

ზვიად გამსახურდია

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)

მეათე თავი
კონფლიქტი აფხაზეთში

(დასასრული)

თბილისის მთავრობამ აფხაზეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღების სანაბად ერთი უმნიშვნელო ინციდენტი აქცია. აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, წარმომობით ქართველი, აფხაზმა დემონსტრანტებმა სცემეს. ეს იყო აშკარა პროვოკაცია, რომლის მშვიდობიანად მოგვარება სრულიად შესაძლებელი იყო, მაგრამ შევარდნაძემ ეს შემთხვევა გამოიყენა, როგორც casus belli, რადგან სურდა სოხუმის საპროტესტო მოძრაობა საბოლოოდ გაენადგურებინა. ერთ საგაზეთო ინტერვიუში, რომელიც გაზეთ "დროში" (29.8.1992) გამოქვეყნდა, შევარდნაძე განმარტავდა, რომ ომი ქვეყნისთვის უფრო ნაკლები უბედურება იქნებოდა, ვიდრე გაუთავებელი მოლაპარაკებები და უსარგებლო დაომობები.

1992 წლის 14 აგვისტოს კიტოვანისა და იოსელიანის სამხედრო ფორმირებებმა აფხაზეთის სახღვარი გადალახეს და სოხუმი დაიკავეს. მათ შეძლეს აფხაზეთის პარლამენტისა და მთავრობის დაშლა. პრეზიდენტმა არძინბამ და მისმა მომხრე აფხაზებმა გუდაუთაში დროებით რეზიდენციას შეაფარეს თავი. მოულოდნელი თავდასხმის შემდეგ აფხაზეთის ქართველები ძალადობით შემოჭრილ ქართულ სამხედრო ნაწილებს შეუერთდნენ. როგორც ჩანს, მათი პრეტენზია შევარდნაძის წინააღმდეგ სწრაფად იქნა დაიწყებული. ომი წარმატებით გრძელდებოდა, სანამ აფხაზებმა მოულოდნელად გაგრის აღება არ განახორციელეს.

ქართველების მიერ წინააღმდეგობის გაწევა ილუზორული იყო. მათ თბილისიდან, საბრძოლო მასალის ნაცვლად, გაფუჭებული კონსერვები მიეწოდებოდათ. დარჩა არჩევანი გარდუვალ დაღუპვასა და გაქცევას შორის. დაიწყო ლტოლვილთა არაორგანიზებული მოძრაობა.

გაგრის კომენდანტმა - მარინაშვილმა, როგორც ჩანს, ყველაფერი იცოდა თბილისის მთავრობის მოღალატური როლის შესახებ. გაგრის დაცემის შემდეგ ძალიან მალე, ის თავის მანქანაში იპოვეს მოკლული.

აფხაზები სამხედრო დახმარებას რუსეთიდან იღებდნენ, სოხუმს რუსებთან ერთად ბომბავდნენ. მათ ჩრდილოკავკასიელი პარტიზანებიც ეხმარებოდნენ. ასეთი მდგომარეობა თითქმის ერთ წელიწადს გაგრძელდა, სანამ სოხუმი, ბოლოს და ბოლოს, არ დაეცა. ომში დამარცხება გარდუვალი გახდა მას შემდეგ, რაც შევარდნაძის პირადი ბრძანებით მთელი მძიმე არტილერია გაიყვანეს აფხაზეთიდან. ამ ბრძანების გამცემმა მშვენივრად იცოდა, რა შედეგიც მოჰყვებოდა მის ამგვარ ქმედებას, მაგრამ თავის მართლების მიზნით, ყველაფერში რუსებს ადანაშაულებდა, თითქოს ისინი დაჰპირდნენ აფხაზების შეტევის შეჩერებას და დანაპირები არ შეუსრულეს. ეს ისეთივე სიყალბე იყო, როგორც მისი მტკიცება ამ ომის "სამამულო" ხასიათის შესახებ.

სოხუმის დაცემით ომი დამთავრდა. ომი, რომელმაც 10 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 200 000 ადამიანი ლტოლვილად აქცია საკუთარ მიწა-წყალზე. ძალიან მცირე ნაწილმა მოახერხა აფხაზეთში დარჩენა.

დღემდე დევნილების მხოლოდ იმ ნაწილის დაბრუნება ჩანს რეალური აფხაზეთში, ვინც აღმოსავლეთ აფხაზეთის სასაზღვრო რეგიონში, სუფთა ქართულ დასახლებაში ცხოვრობდა. ომში დამარცხება, რომელიც ასეთი სავალალო შედეგებით დამთავრდა, განუზომლად დიდი ტრაგედია იყო მთელი საქართველოსთვის.

რუსები, როგორც "შშვიდობისთვის უანგარო მებრძოლნი" თავდაპირველად ორივე მებრძოლ მხარეს ამარაგებდნენ იარაღით. მათი მიზნების ამოცნობა რთული არ არის: ერთველთა განდევნით, აფხაზეთის მართველობა მთლიანად რუსეთის ხელში დადგიდა. მას შემდეგ, რაც უკრაინამ ყირიმის ნახევარკუნძული მოითხოვა, რუსებმა მხოლოდ სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიები კი არ დაკარგეს შავ ზღვაზე, არამედ იძულებულნი გახდნენ, თავიანთ კომფორტულ აგარაკებზეც ეთქვათ უარი (დღესდღეობით უკრაინა ერთადერთი სახელმწიფოა დსთ-ში, რომელსაც ძალუძს საზღვრო თვალსაზრისით რუსეთს გაეტოლოს). საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების შემდეგ რუსები აკონტროლებენ 270კმ სიგრძის საქართველო-აფხაზეთის სანაპიროს, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის.

ომის პერიოდში შევარდნაძე ისევე იქცეოდა, როგორც ოსეთის კონფლიქტის დროს. ის ცდილობდა, თავი საქართველოს ინტერესების დამცველად წარმოედგინა. სიამოვნებით ჩნდებოდა ტელევიზიის ეკრანებზე სამხედრო ფორმაში; ინტერვიუებს პირდაპირ ფრონტის ხაზიდან იძლეოდა. ამხნევებდა და აგულიანებდა მებრძოლებს, მოუწოდებდა მათ "საქართველოს ტერიტორიის დასაცავად", ხოლო პარალელურად მოღალატურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა "სამმხრივ შეხვედრებზე" სოჭსა და მოსკოვში, როგორც საქართველოს თვითმარქვია წარმომადგენელი.

ყოველკვირეულ გაზეთში "შვიდი დღე" (1994 წლის აპრილის ნომრებში) გამოქვეყნებული იყო შევარდნაძის აფხაზური პოლიტიკის მამხილებელი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი. ამის გამო გაზეთის რედაქცია მრავალჯერ დაარბია მხედრიონმა:

3.9.1992 - შევარდნაძეს მოსკოვში მოლაპარაკება ჰქონდა სოხუმის ჩაბარების თაობაზე;

4.4.1994 - საბოლოოდ, მოლაპარაკების შედეგად დაირღვა აფხაზებსა და ქართველებს შორის ასწლეულობით განმტკიცებული ერთიანობა.

ლტოლვილთა გაუსაძლისი მდგომარეობა დღემდე გრძელდება. აფხაზები მათი დაბრუნების საფასურად მიუღებელ პირობებს აყენებენ - თბილისმა აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა ცნოს. ისინი მოითხოვენ საბჭოთა რესპუბლიკის "სტატუსს", რომელიც მათ 1921-31 წლებში ჰქონდათ.

ფორმალურად გაერო-ს დაქვემდებარებული რუსი "ცისფერჩაფხუტიანები" ლტოლვილებს იცავენ, რომლებიც უკან დაბრუნებას ითხოვენ, სინამდვილეში კი ისინი აფხაზეთის მთავრობას ემსახურებიან, რათა არ მოხდეს დევნილთა აფხაზეთში დაბრუნება. მსოფლიო საზოგადოებრიობას კი თავს ისე აჩვენებენ, თითქოს იმთავითვე მშვიდობის დასამყარებლად იყვნენ მოწოდებულნი. მაგრამ ძნელი არ არის მათი ჩანაფიქრის ამოცნობა - აფხაზეთიდან, ისევე, როგორც სულ ცოტა ხნის წინ შიდა ქართლიდან, დამპყრობლებს კი არ განდევნიან, არამედ მკვიდრ მოსახლეობას ერეკებიან საკუთარი მიწა-წყლიდან. ერთადერთი მოტივი ამ ქმედებისა რუსეთის იმპერიალისტურ მისწრაფებებში უნდა ვეძიოთ, რასაც მიუხედავად სუსტი პროტესტისა, მაინც ყველა დიდი სახელმწიფო ითმენს უკვე საუკუნეების მანძილზე.

რაც ამჟამად კავკასიაში ხდება, აშკარად ახალ ცდას წარმოადგენს ამ მხარის კულტურული ერთიანობის დასარღვევად. ამისკენ მიისწრაფოდნენ ჯერ კიდევ ოტომანები, შემდეგ მეფეები და ბოლშევიკები. შევარდნაძის საბრძოლო სვლას მოჰყვა მოწოდებები "ქართველთა აურესიისა და შოვინიზმის" შესახებ, რაც მიზანმიმართული იყო აფხაზთა, ჩრდილოკავკასიელთა და ქართველთა შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად. ამან ეს ხალხები, ლამის "საკუთარი ნებით, დიდი ძმის ხელში ჩაყარა".

ზვიად გამსახურდიასთვის "აფხაზი" ისეთივე ქართველი გეორგიანელი იყო, როგორც კახელი, მესხი ან სვანი. სულიერად ეს იყო მისთვის მახლობელი და არა პრივილეგირებული, გარუსებული ეთნოკრატი. ვინც "აფხაზობას" იწამებს დღეს, მას სინამდვილეში დაკარგული აქვს ეროვნული სახე. ოდესღაც კი ქართული კულტურა ყვაოდა შერვაშიძეთა, ემხვართა, მაანთა, აფაქიძეთა კარზე. ზვიად გამსახურდიამ ყველა ღონე იხმარა ამ მთლიანობის გადასარჩენად. იგი აფხაზურ ენაზეც კი აკეთებდა მიმართვებს. სიცოცხლის ბოლო ჟამსაც ხომ აფხაზეთს დასტრიალებდა მისი ფიქრი. ეს ჩანს გრეხნოში დატოვებული "ქართლის ცხოვრებიდან", რომლის გვერდებიც აჭრელებული იყო ამ თემასთან დაკავშირებული შენიშვნებით. მაგრამ ვაი რომ, მის მაღალ იდეალებს ამ საუკუნეში განხორციელება არ ეწერათ.

გერმანულიდან თარგმნა
თამარ იაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

TAVISUPALI SAKARTVELO
(FREE GEORGIA)
№ 28 (in brief)
30 July - 5 August 1996

Press-Conference Which Ended with Action

On July 25 the Helsinki Union of Georgia hold a press-conference in the house-museum of Merab Kostava. The member of the exiled Supreme Council, one of the founders of the Helsinki Group of Georgia, Chairman of the Rustavi Office of the Union Mr. Temur Janelidze presented to the journalists the statement containing rather radical demands.

The Chairman of the Human Rights Commission of the union Mrs. Anna Chavchavadze dwelled on the abuse of the human rights of the political prisoners at the ongoing Court Hearing. It was mentioned at that the member of the Supreme Council Mr. Nugzar Molodinashvili is on the hunger-strike since July 10. He is demanding to be allowed to meet with the representatives of the International Organizations and mass media. Mrs. Tamila Lomishvili, the public defender of Mr. Vakhtang Kobalia, who was unlawfully removed from the Court hearing declared a hunger-strike since July 12; the prisoner of war Mr. Soso Zhgenti is intending to commit suicide as an extreme means to express his protest.

The correspondent of Matsne - information program of the first channel of the State Television of Georgia noted that the opinions of the authorities and radical opposition coincide regarding the problem of refugees from Abkhazia. In relation to this the Chairman of the Regional Organization of Abkhazia Mr. Avtandil Davitaia declared, that expulsion of Georgians from Abkhazia is the result of the purposeful trucking policy of the existing authorities which led to the historically unprecedented signing of the Agreement of July 27 which envisaged one-sided disarmament of the Georgian party. He also reminded the audience, that well-organized misleading propaganda carried out by the State Television played a significant role in the tragic development of the events of the recent past. However he expressed his hope that may be in future the young generation of the TV journalists would be at least more objective.

Answering the question whether the Helsinki Union was going top participate in the elections of Ajar Parliament Mr. Avtandil Davitaia said that the Ajar issue required especially careful approach since Tbilisi authorities are trying to create an explosive situation there. For this reason the Helsinki Union is thoroughly studying the situation created in Ajar and would hold the press-conference in the nearest future which would be devoted to this problem. When the correspondent of the Rezonansi newspaper asked whether the Helsinki Union decided to change its position and take part in elections since the policy of not participating in the elections proved to be ineffective, he heard a counter-question whether participation in the elections was effective at all considering the composition of the present Parliament.

The press-conference was attended by the representative of the OSCE Mission in Georgia Mrs. Johanna Schtigler and the consul of the USA Mr. Timothy Richardson.

In conclusion the audience was informed that after the press-conference the Helsinki Union was going to start a protest sitting strike in the yard of the house-museum of Merab Kostava demanding to satisfy the demands listed in the above Statement. At the same time the Helsinki Union of Georgia is continuing to collect the signatures under the petition demanding to remove Russian Troops from Georgia and abolish the death punishment in Georgia.

When the journalists left the house-museum they saw that the protest action had already started. The main demands on the slogans written in Georgian and English languages were saying: Shevardbnadze ordered the murder and Baluashvili and Ugrekhelidze are the executors; "The judges Mirza Dolidze, Jemal Leonidze and Alexandre Aladashvili are murderers hired by Shevardnadze; We demand to satisfy the requirement of Mr. Nugzar Molodinashvili. One humorous but rather burning slogan saying: Vardico Nadibaidze, do immediately christen Igor Rodionov! attracted the attention of the audience. Hopefully the minister of defense during his visit to Moscow will consider this suggestion.

Mamuka Tusishvili

Aladashvili Presents Ultimatum

According to the information of the Human Rights Commission of the Helsinki Union of Georgia, on July 22 Mr. Nugzar Molodinashvili was taken from his cell to be moved to the internal prison hospital. The administration of the prison passed to him the ultimatum of the judge Aladashvili claiming that the political prisoner on a hunger-strike would be hospitalized only if he ceased his hunger-strike. Mr. Molodinashvili answered that he was on hunger-strike not because a demanded hospitalization. With this he was returned to his cell. On July 24 he was moved to the medical room. The state of health of Mr. Molodinashvili is alarming.

To the International Organizations
Government and Parliaments of the World Countries

Appeal
of the Political and Public Organizations of Georgia

On July 10, 1996 The member of the exiled Supreme Council of the Republic of Georgia, the adviser of the President Zviad Gamsakhurdia, the member of the political Council of the Helsinki Union of Georgia, political prisoner Mr. Nugzar Molodinashvili is on the hunger-strike since July 10, 1996 in #1 Tbilisi Investigation Isolator. He demands to arrange his meeting with the representatives of the international organizations and mass media.

Since at the ongoing Court Hearing from which he had been removed. his right for defense is roughly abused, he categorically declares that will nit cease the hunger-strike until his lawful demand is satisfied. Presently the state of health of Mr. Molodinashvili is reaching its critical point. Irrespective of this the authorities of Georgia are, while the representative of the Court authorities who are authorized to solve this problem without any sound reason refuse to satisfy the demand of Mr. Molodinashvili.

The health and life of Mr. Molodinashvili are endangered.

We appeal to you to undertake all possible measures for the sake of the principles of humanity and to exert pressure on the authorities of Georgia to satisfy he lawful demand of Mr. Nugzar Molodinashvili to avoid the tragic result.

July 29, 1996

Helsinki Union of Georgia
National Front - Radical. Union
National-Conservative Party
Conservative league
Neoconservative Party

To Mr. Mindia Ugrekhelidze, the Chairman of the Supreme Court

Protest
of political Prisoners Kept in №1 Tbilisi Isolator

On June 30, 1996, the term determined by Mr. Baluashvili as a deadline for investigation was over, but before it was over our Case # 1095211 was passed to the Supreme Court for hearing. Irrespective of the fact that 14 day term envisaged by Article 224 the Criminal Code of Procedure of Georgia for making decision about passing the case to Court Hearing has elapsed long ago, none of us ever received the copy of the decision made at the respective session of the Court. Neither the term of our detention was prolonged. As it became known to us the judge Isaeva who was appointed to hold our Case at the Supreme Court, refused to accept the case for Court hearing, while the judge Bochorishvili to whom was passed our Case declared that he would start to get familiar with the Case materials only from the end of July, 1996 which is an attempt to purposefully postpone the Court hearing.

It is already 18 days that we are being kept under unlawful imprisonment. The abuse of the norms of the Code of Procedure in our Case and political squaring scores with us continues the tradition being taken by the Supreme Court from the Prosecutors Office.

We are expressing our protest against the purposeful postponing of the Court hearing and our unlawful keeping imprisoned without any adequate warranty. We demand either to speed-up the beginning of the Court hearing or to release us from the unlawful imprisonment since the warranty of our detention expired on June 30, 1996.

Koba Dzidziguri, Vazha Tsereteli, Giorgi Korbesashvili, Zaza Danelia

July 18, 1996

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia